დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი

წევრები:

დიმიტრი ქარსელაძე

თორნიკე თუთარაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ -სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 225361202

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 24/06/2024 წლის N739549 (ცვლილება 27/06/2024 წლის N764541) ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ -სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის(1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის(3.1. კომპონენტი) , დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის(4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) 2.1., 2.2., 2.3.,2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2024 წლის 2 და 3 ივლისს განხორციელდა სსიპ -სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში (მის:ქალაქი ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ.N121). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომელიც განახორციელებენ ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების სწავლებას და დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირი. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელოს სასწავლო პროცესი, რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალიერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (A,B,C გარემო) საჭიროებს შესაბამის მოწყობას, რაც გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. შენობის ვიზუალური დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს მის ხელთ არსებული ფართი, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს შეფერხების გარეშე, როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი მიმართულებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები გაწერილია ისე, რომ ზოგადი და პროფესიული პროგრამების ერთობლივად განხორციელებას არ შეეშალოს ხელი .

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

მე -4 სტანდარტი.

4.1.1

1-ლი ინდიკატორი. სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი, რომლითაც გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებულია წინარე შრომის ხელშეკრულებები. აღნიშნული პერსონალი ემსახურება როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას. დირექტორის 2024 წლის N2-59 ბრძანებით (14.06.2024) დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები. რომელშიც განსაზღვრულია ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის, საქმისმწარმოებლის, ინფორმაციული მენეჯერის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პოზიციის დასახელება, ფუნქცია მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სასურველი პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, დამატებითი მოთხოვნები. პირადი საქმეებში დაცული სამუშაო აღწერილობის დოკუმენტები ხელმოწერილია დასაქმებულთა მიერ. დაწესებულების მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N 2-65 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის 18 თვიანი გეგმა. რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები. აღნიშნულით დაკმაყოფილდება ინდიკატორის მოთხოვნა. სკოლის წარმომადგენლის ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ იგეგმება ხარისხის, სასწავლო პროცესის მართვის და კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული მხარდაჭერის სპეციალისტის შტატით დასაქმება.

ექსპერტთა შეფასების დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

მე-2 ინდიკატორი

დირექტორის ბრძანებით 2024 წლის N2-59 (14.06.2024) დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები. რომელშიც განსაზღვრულია ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის, საქმისმწარმოებლის, ინფორმაციული მენეჯერის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. როგორც პირველ ინდიკატორშია აღწერილი დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტანდარტთა შესაბამისობის 18 თვიანი გეგმა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოიძიოს და სრულად დააკომპლექტოს დაწესებულება პერსონალით, რომელიც ხელს შეუწობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასების დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.ფ

მე-3 ინდიკატორი

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებულია აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ 2024 წლის 14 ვინისის დირექტორის N2-69 ბარძანებით, რომლის მიხედვითაც „ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. შიდა შეფასება მიმართული იქნება ძლიერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მოხდება მიღებული შედეგების გაანალიზება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იმოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე შეამოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) შეამოწმე; A (act) - განავითარე). გამოკითხვების და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ამ ეტაპისთვის ხარისხის უზრუვნელყოფაზე პასუხსიმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის თანამშრომელი, რომელსაც შეთავსებული აქვს საქმიანობა. აღნიშნულ პირს არ აქვს შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია ხარისხის მენეჯერის ფუნქცია მოვალეობების შესასრულებლად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 18 თვიანი გეგმით განსაზღვრულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ხარისხის მართვის მენეჯერის შტატის შექმნა.

ექსპერტთა შეფასების დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

მე-2 სტანდარტი

2.2.1 1-ლი ინდიკატორი- დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A,B და C გარემოები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,, კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ განსახორციელებლად. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა მოიცავს ,,სპორტის“ ინტეგრირებულ მოდულს დაეწესებულებას არჩეული აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მიმართულება. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარდაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე წარმოების ფარგლებში სკოლას გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ სასწავლო სივრცეები. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდართად შესაბამისობის გეგმა (17.06.2024. N2-65) სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული იდიკატორი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა, იმისათვის რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 20.06.2024 წლის N 714411 კორესპონდენცია, სადაც პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებსა და სსიპ - ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიმმართავს. აღნიშნულით იგი იღებს ვალდებულებას და იძლევა გარანტიებს, რომ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მე-2 ინდიკატორი.

პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 11 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 1 პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა მხოლოდ 1 ჯგუფის მიღების შემთხვევაში არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისიწინებულ ზღვრულ დატვირთვას. თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია ერთი განმახორციელებელი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდართად შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა (17.06.2024. N2-65) სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული იდიკატორი. დაწესბულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მე-3 ინდიკატორი.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი პედაგოგებიდან, მათი ცოდნა და კომპეტენცია მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით, დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით, რაც შეეხება დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირს, მას წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კომპეტენცია უდასტურდება მხოლოდ კომპიუტერული სისტემებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დააწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმაახორციელებელ პირებს. რაც შეეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის კომპეტენციას, ისინი საჭიროებენ დამატებით გაუმჯობესებას, რისთვისაც დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. გარდა აღნიშნულისა, ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

მე-4 ინდიკატორი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხელმძღვანელია პროგრამის განმახორციელებელი პირი. დაწესებულებამ მისი კომპეტენციის დასადასტურებლად წარმოადგინა ი.ყ-ს განათლებისა და სამუშაო გამოცდილება,რომელიც მოიცავს მხოლოდ კომპიუტერული სისტემებისა და მხარდაჭერის კომპონენტს. პროფესიული განალთების მასწავლებელს არ აქვს გამოცდილება კომპიუტერული ქსელების მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დააწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმაახორციელებელ პირებს. **ამდენად დაწესებულება მეტწილად შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან.**

მე-5 ინდიკატორი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ინდიკატორის დასაკმაყოფილებად შემუშავებული აქვს შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც ის გეგმას აღნიშნულ ვადაში მოიძიოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ სასწავლო რესურსები და აღჭურავს სკოლის ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო რესურსით მატერიალური ან/და ელექტრონული სახით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებას ეძლევა ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაცია, გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტებს და გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, რომლებიც არ შეესაბამება დაწესებულების სპეციფიკას.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისიაა ,,მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა პოტენციალის გამოვლენა და განვითარება, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ სიახლის შეცნობის მსურველ, განათლებულ და მზრუნველ მსოფლიო მოქალაქეებად, რომლებსაც შეუძლიათ გამოიჩინონ ინიციატივა სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად. არაფორმალური განათლების გაძლიერების, მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის, კლუბური მუშაობის ხელშეწყობის, სპორტის სწავლების წახალისების გზით შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად. სკოლა იზრუნებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რისთვისაც უზრუნველყოფს სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და პროფესიული განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას. ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ბიზნესის პარტნიორობის განვითარებას. ეს კი მთლიანობაში განაპირობებს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების ზრდას. ''

სკოლის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. მისი მიზანია პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება, მოტივაციის ამაღლება, კონკურენტუნარიანობის გაძლიერება და სხვა. სკოლა მისცემს ახალგაზრდებს საშუალებას უპასუხონ თანამედროვე სამყაროს ცვალებად გამოწვევებს- ხელს შეუწყობს ქვეყნის პოლიტიკის ისეთ მიზანს, როგორიცაა „ქვეყნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა"; პროფესიული სტუდენტის უწყვეტი პროფესიული განათლების მიღება „სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;

ზსდ-ს ხედვაში იკვეთება, რომ დაწესებულება არის მრავალპროფილურიპროფილი. ის არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მრავალფეროვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. მისიიდან, ჩანს დაწესებულების როლი, რომ სკოლა იძლევა საშუალებას ახალგაზრდამ მიიღოს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული განათლება. სასწავლო დაწესებულება ორიენტირებულია მოსწავლე/პროფესიული სტუდენტი იყოს მეტად კონკურენტუნარიანი, მაქსიმალურად შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და პიროვნული ფასეულობებითა და მიღებული ცოდნით დაუპირისპირდეს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს, რაც თავისთავად გულისხმობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიონალი კადრების მომზადებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

დაწესებულების ხედვა არის გაზომვადი და იკითხება განვითარების მიმართულება. ის აკონკრეტებს მიღწევის პერიოდს და აკეთებს ამბიციურ განაცხადს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება. ის ღირებულებებში ხაზს უსვამს განვითარებისკენ სწრაფვას, გუნდურობას და პროფესიული განათლების უწყვეტობის ხელშეწყობას. აქედან გამომდინარე დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან.
სკოლის ღირებულებებში იკითხება, ის ძირითადი პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც დაწესებულება გეგმავს მისიაში და ხედვაში გაცხადებული მიზნების მიღწევას. დაწესებულების მიერ შემუშავებული ღირებულებები ხაზს უსვამს დაწესებულების ორგანიზაციულ კულტურას და დაინტერსებული პირებისათვის ქმნის წარმოდგენასა და მოლოდინებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა ჯგუფმა კითხვარების საშუალებით შეაგროვა ინფორმაცია, გადაამუშავა და სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებს მიაწოდა დასამტკიცებლად. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ორგანოებში შედიან როგორც პედაგოგები, ასევე მშობლები და მოსწავლე, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ.

მისია, ხედვა და ღირებულებები ატვირთულია, ასევე, სკოლის ვებგვერდზე და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე, რითაც უზრუნველყოფილია მოთხოვნა, რომ ისინი საჯაროდ გაზიარებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- SSO.EDU.GE;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N13;
- სამეურვეო საბჭოს ოქმის N12;
- დასწრების ფურცლები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ რომელიც ადგენს პროფესიული სტუდენტების უფლებებს, ვალდებულებებს, ქცევის წესებს, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების ადმინისტრირების პროცედურებს; კოდექსი ერთიანად სავალდებულოა სკოლის პროფესიული სტუდენტებისათვის და ნებისმიერი პირისთვის, ვინც სარგებლობს სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო მომსახურებით. სკოლის ყველა პროფესიული სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, სკოლის შიდა რეგულაციებით მინიჭებული უფლებამოსილებებით. კოდექსის მოქმედება ვრცელდება სკოლის ყველა პროფესიული სტუდენტზე. ასევე დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია საკანონმდებლო მოთხოვნებით გათვალისწინებული რეგულაციები: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის პროცედურები და მექანიზმები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი, მობილობა, პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის კომპონენტის გავლა ინდივიდუალურ რეჟიმში და ასევე შეზღუდული შესაძლებლობებისა და დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ხელშეკრულებების ნიმუში (სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში). „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების მიმართ გამოსაყენებელი სავარაუდო აქტივობები, ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დასაქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები. სწავლის შედეგების შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭების წესი, სსსმ და შშშმ პირების სასწავლო პროცესში ინტეგრირების წესი, მატერიალური რესურსის გამოყენების წესი, შეფასების პროცესის ადმინისტრირების და შეფასების შედეგების აპელაციის წესები და პროცედურები; შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურები. აღნიშნული დებულება ასევე არეგულირებს აპლიკანტთა რეგისტრაციის, შერჩევის, ინფორმირების, გასაუბრების, საკონკურსო კომისიის შექმნის, განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის წესებს, ჩასარიცხად საჭირო წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს და სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურებს. ასევე შემუშავებულია „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“ რომელიც ადგენს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს, ამ მიმართულებით სკოლაში არსებული სერვისების სპექტრს და ამ მიმართულებით იდენტიფიცირებული ღონისძიებების სახეებს; დოკუმენტში იდენტიფიცირებულია სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების სახეები, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირები და ამ სერვისების განვითარების ღონისძიებები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია პროფესიული სტუდენტის უფლებები. ასევე აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე თავისუფალი წვდომის რეჟიმში და დაინტერესებულ პირებს ექნებათ საშუალება გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტს. ასევე ზსდ-ს რეგულაცია გულისხმობს რიგ აქტივობების განხორციელებას, როგორიცაა პროფესიული სტუდენტების კონსულტირება დოკუმენტის თანახმად, სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის შესახებ კონსულტაციის გაწევა სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების და კრედიტის მინიჭების მიზნით მუდმივი კომუნიკაცია ევალება დირექტორის მოადგილეს. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია პროფესიულმა სტუდენტებმა გაიცნონ ზსდ-ის პერსონალი, მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და ზსდ-სა და პროფესიული სტუდენტის თანამშრომლობის საკითხებზე. დებულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტისთვის საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტის მიწოდებას, რომელიც დაეხმარება მას შიდა პროცესების ადაპტაციაში. პროფესიული სტუდენტების მიერ, საკუთარი უფლებების გაცნობა დადასტურდება, პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმით . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, ატვირთულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

დაწესებულების 2024 წლის 10 ივნისის დირექტორის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს, მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს შეფასების შედეგების გასაჩივრებას. გარდა ამისა, დებულება მოიცავს სასწავლო პროცესის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ციკლის ჩატარების შესაძლებლობას პერმანენტულად სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, აღნიშნულ შეხვედრებზე მოხდება სხვადასხვა საკითხების განხილვა, მათ შორის სტუდენტების უფლებები. ამასთან, გათვალისწინებულია კონსულტაციების განხორციელება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან. პროფესიული მასწავლებლის უფლება-მოვალეობებშიც გაწერილია ვალდებულებები, რომელიც პროფესიული სტუდენტის კონსულტირების საკითხს მოიცავს, მათ შორის შეფასების სისტემაზე.

ექსპერტთა ჯგუფის შესაფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,

4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს: ხელშეკრულების საგანს, პროგრამის დასახელებას, რომელზეც პროფესიული სტუდენტი არის ჩარიცხული, მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მისი შეწყვეტის წესს და სხვა დებულებებს. აქვე განსაზღვრულია, რომ დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელეკრულებას ხელს აწერს დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანი ან შშმ/სსსმ პირის შემთხვევაში(გარკვეული საჭიროებისას) მისი კანონიერი წარმომადგენელი. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშები (სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში). შესაბამისობაშია დაწესებულებაში დამტკიცებულ დებულებასთან და მასში დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ექსპერტთა ჯგუფის შესაფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულებაში შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“. აღნიშნული დებულების IX თავი ეთმობა ინდივიდულაურ სასწავლო გეგმას, სადაც გაწერილია როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და დამტკიცების მექანიზმები. აღნიშნულ მექანიზმში გაწერილია, რომ დაწესებულებაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება პროფესიული სტუდენტის მონაწილოებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი განხილული და შეთანხმებული იქნება პროფესიულ სტუდენტთან, რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან მის კანონიერ წარმომადგენელთან. შეთანხმების შედეგად ინდ. გეგმის პროექტი შეთანხმების მტკიცებულებასთან ერთად დამტკიცდება. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება და პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვერ აღწევენ თანხმობას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, მას უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვს ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით, კანონმდებლობითა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

ექსპერტთა ჯგუფის შესაფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება (2024 წლის 10 ივნისი, დირექტორის N2-58);
- პროფესიულ სტუდენტთა უფლებები (2024 წლის 10 ივნისი, დირექტორის N2-56);
- სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს (კანონიერ წარმომადგენელს) შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი, რომლითაც გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებულია წინარე შრომის ხელშეკრულებები. აღნიშნული პერსონალი ემსახურება როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას. დირექტორის 2024 წლის N2-59 ბრძანებით (14.06.2024) დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები. რომელშიც განსაზღვრულია ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის, საქმისმწარმოებლის, ინფორმაციული მენეჯერის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პოზიციის დასახელება, ფუნქცია მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სასურველი პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, დამატებითი მოთხოვნები. პირადი საქმეებში დაცული სამუშაო აღწერილობის დოკუმენტები ხელმოწერილია დასაქმებულთა მიერ. დაწესებულების მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N 2-65 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის 18 თვიანი გეგმა. რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები. აღნიშნულით დაკმაყოფილდება ინდიკატორის მოთხოვნა. სკოლის წარმომადგენლის ინტერვიუს შედეგად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გამოიკვეთა, რომ იგეგმება ხარისხის, სასწავლო პროცესის მართვის და კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული მხარდაჭერის სპეციალისტის შტატით დასაქმება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

დირექტორის ბრძანებით 2024 წლის N2-59 (14.06.2024) დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები. რომელშიც განსაზღვრულია ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის, საქმისმწარმოებლის, ინფორმაციული მენეჯერის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. როგორც პირველ ინდიკატორშია აღწერილი დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტანდარტთა შესაბამისობის 18 თვიანი გეგმა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოიძიოს და სრულად დააკომპლექტოს დაწესებულება პერსონალით, რომელიც ხელს შეუწობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებულია აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ 2024 წლის 14 ვინისის დირექტორის N2-69 ბარძანებით, რომლის მიხედვითაც „ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. შიდა შეფასება მიმართული იქნება ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მოხდება მიღებული შედეგების გაანალიზება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იმოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე შეამოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) შეამოწმე; A (act) - განავითარე). გამოკითხვების და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ამ ეტაპისთვის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხსიმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის თანამშრომელი, რომელსაც შეთავსებული აქვს საქმიანობა. აღნიშნულ პირს არ აქვს შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია ხარისხის მენეჯერის ფუნქცია მოვალეობების შესასრულებლად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 18 თვიანი გეგმით განსაზღვრულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ხარისხის მართვის მენეჯერის შტატის შექმნა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (2024 წლის 14 ვინისის დირექტორის N2-69 ბარძანები)
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები (2024 წლის N2-59 (14.06.2024)
- პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები,

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცfია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები,პერსონალის შერჩევის პროცესი კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის წახალისება და განვითარება. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფაზე. **ამდენად, ინდიკატორი 4.1.2.1. შესაბამისობაშია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების შიდა რეგულაციების, მათ შორის, ,, პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ მიხედვით. სამუშაოს დაწყების მსურველის ცოდნის და უნარ-ჩვევების შემოწმებისთვის ახალი თანამშრომლის აყვანისას, დაწესებულებამ შესაძლებელია გამოიყენოს შესარჩევი მეთოდიკის ფართო სპექტრი გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას შეუძლია ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება, არსებული საკადრო ბაზიდან ან/და ღია კონკურსის გამოცხადებით. დაწესებულებაში დასაქმება შესაძლებელია როგორც კონკურსით შერჩევის, ასევე, კანდიდატთან გასაუბრების გზით. პერსონალი შესაძლოა დანიშნულ იქნას დანიშვნის აქტით - ბრძანებით/შრომითი ხელშეკრულებით. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელშიც გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების. პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი 4.1.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები. დაწესებულების პერსონალი მუშაობს გუნდურობის პრინციპით, რომლის მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება. დაწესებულების სტრუქტურა, ასევე, ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხორციელდება კოლეგიალური პრინციპების გათვალისწინებით. **ამდენად, ინდიკატორი 4.1.2.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები (2024 წლის N2-59 (14.06.2024)
- პერსონალის მართვის და განვითარების პოლიტიკა“ (ბრძანება №2 -70; 14.06.2024);
- პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები,

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძანება N2-62 17.06.2024
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ქალაქ ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ.N121

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ -სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლა შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სადაც იკვეთება პროგრამის საჭიროება ქვეყანაში/რეგიონში. ის თანხვედრაშია დაწესებულების, მისიასთან და შესაბამისად სტრატეგიულ განვითარებასთან რომელიც გულისხმობს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დამატებას და განხორციელებას და პროგრამათა სპექტრის გაფართოვებას. მიზანშეწონილობის დასაბუთებაში დაწესებულებას მოკლვეული აქვს მეორადი ინფორმაცია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროგრამის საჭიორებასთან დაკავშირებით სკოლა ეხმაურება რა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პრიორიტეტს , რომ სკოლებში დაინერგოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩაერთოს ამ პროცესში და ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების პოპულარიზებას. სკოლის მიერ ჩატარებული დასაქმების პლატფორმის hr.gov.ge და https://www.jobs.ge/ ანალიზით ირკვევა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ვაკანსიების რაოდენობა 2022 წელს შეადგინა 2352 ვაკანსია, ხოლო 2021 წელს 1864 ვაკანსია. დაწესებულებამ ჩაატარა წინასწარი მოკვლევა სკოლის მოსწავლეებსა და მშობლებს შორის და გამოვლინდა საკმაოდ მაღალი ინტერესი.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტიკიბეულია დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N2-63 ბრძანებით, სადაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და საშუალო განათლების 10 კლასის განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ შესაძლებელია პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო საგანმანათლებლო სტანდარტთან.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 10 ივნისის N2-53 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B და C) გარემო შესაძლებლობებს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას; საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსებს; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად. დასაბუთების შესაბამისად კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 40-ს. წარმოდგენილი დოკუმენტის ანალიზით დასტურდება, რომ კოლეჯი პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. მათ შორის ინტეგრირებული მოდულებისთვის დამტკიცებული საგანმანათლებლო რესურსებიც სრულ შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 19 აგვისტოს 170/ნ ბრძანებით დამტიცებული ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობების ჩამონათვალთან. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი N1-ის ,,საჯარო სკოლის წესდების" საფუძველზე, საგანმანათლებლო 25 დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – სკოლის დირექტორის ბრძანება N2-63 17.06.2024.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" , რომელიც ზუსტად იმეორებს პროფესიული საგანამანთლებლო სტანდარტის სახელწოდებას, შეესაბამება პროგრამის შინაარს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის მისაღწევ შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე. დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები. ინფორმაცია სტრუქტურის და მოდულების, სწავლის შედეგების, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ; ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ, პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანამანათელბლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება (17.06.2024. N2-63);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A,B და C გარემოები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,, კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ განსახორციელებლად. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა მოიცავს ,,სპორტის“ ინტეგრირებულ მოდულს დაეწესებულებას არჩეული აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მიმართულება. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარდაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცეები პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე წარმოების ფარგლებში სკოლას გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ სასწავლო სივრცეები. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდარტად შესაბამისობის გეგმა (17.06.2024. N2-65) სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული იდიკატორი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა, იმისათვის რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 20.06.2024 წლის N 714411 კორესპონდენცია, სადაც პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებსა და სსიპ - ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიმმართავს. აღნიშნულით იგი იღებს ვალდებულებას და იძლევა გარანტიებს, რომ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 11 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 1 პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა მხოლოდ 1 ჯგუფის მიღების შემთხვევაში არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისიწინებულ ზღვრულ დატვირთვას. თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია ერთი განმახორციელებელი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდართად შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა (17.06.2024. N2-65) სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული იდიკატორი. დაწესბულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი პედაგოგებიდან, მათი ცოდნა და კომპეტენცია მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით, დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით, რაც შეეხება დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირს, მას წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კომპეტენცია უდასტურდება მხოლოდ კომპიუტერული სისტემებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დააწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმაახორციელებელ პირებს. რაც შეეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის კომპეტენციას, ისინი საჭიროებენ დამატებით გაუმჯობესებას, რისთვისაც დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. გარდა აღნიშნულისა, ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ამდენად, დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხელმძღვანელია პროგრამის განმახორციელებელი პირი. დაწესებულებამ მისი კომპეტენციის დასადასტურებლად წარმოადგინა ი.ყ-ს განათლებისა და სამუშაო გამოცდილება,რომელიც მოიცავს მხოლოდ კომპიუტერული სისტემებისა და მხარდაჭერის კომპონენტს. პროფესიული განალთების მასწავლებელს არ აქვს გამოცდილება კომპიუტერული ქსელების მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დააწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმაახორციელებელ პირებს. **ამდენად დაწესებულება მეტწილად შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნასთან.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

სკოლას აღნიშნული ინდიკატორის დასაკმაყოფილებად შემუშავებული აქვს შესაბამისობის 6 თვიანი, რომლის მიხედვითაც ის გეგმას აღნიშნულ ვადაში მოიძიოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ სასწავლო რესურსები და აღჭურავს სკოლის ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო რესურსი მატერიალური ან/და ელექტრონული სახით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასების ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა შეადგენს 7. ამ რაოდენობის შემთხვევაში შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას

ექსპერტთა შეფასების ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- პროფესიული საგანამანათელბლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება (17.06.2024. N2-63);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება,განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განცორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასები შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, პრაქტიკის ობიექტის არსებობის შემთხვევაში პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს.

ექსპერტთ შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით სისტემატიურად განახორციელებს შეხვედრებს, სადაც მოხდება გამოცდილების გაზიარება და პროგრამის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება. პროგრამის განვითრების პროცესში გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა პარამეტრები: რესურსის ცვლილება, სტანდარტის ცვლილება, მიღწეული შედეგების ანალიზი და სხვა. პროგრამის განვითარების ღონისძიებები განხორციელდება სკოლის დებულების თანახმად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთ შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების მიერ შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლენსაც დანართის სახით ერთვის 2 სასწავლო გეგმა. (არაინტეგრირებული, ინტეგრირებული) პროგრამის სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული ლოგიკური და სავალდებულო წინაპირობები.

ექსპერტთ შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, სადაც 35- ე მუხლში გაწერეილი სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები. პროფესიულ სტუდენტთა კონსულტაციების გაწევასა და მხარდაჭერაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე. მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, გაუწევს მათ როგორც ადმინისტრაციულ ასევე აკადემიურ მხარდაჭერას. ცხრილების შედგენისას, ცვლების გათვალისწინება და ა.შ

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოდულებში, ხოლო დარგის ტექნოლოგიების გამოყენებას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები შესაბამისი სიახლეების გაცნობის, მიწოდების და სწავლების პროცესში

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია/პროცედურა. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში ან სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით/მისი ჩართულობით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგნამანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად დაწესებულებას არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი/პარტნიორი ორგანიზაცია.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები)

დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამისთვის განსაზღვრული გარემო არ საჭიროებს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებულ, საოფისე საქმიანობისგან განსხვავებულ ნორმებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს გარემოში ქცევის ზოგადი წესები. აღნიშნული წესი გაკრულია სასწავლო გარემოში და პროფესიულ სტუდენტებს ეცნობება სწავლის დაწყებისთანავე. დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის N2-71 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესები ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მიზნებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- უსაფრთხოების ზოგადი წესები;
- ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების მიერ შემუშავებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები. განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის შეფასების რეგულაციები რომლის შესაბამისადაც, სკოლია უზრუნველყოფს შედეგების დადასტურების ორგანიზებას. რეგულაციის შესაბამისად კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე. ამისათვის სკოლა განახორციელებს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების სისტემატიურ გადამზადებას, შეფასების ინსტრუმენტების განვითარებას, ვალიდაციას, გეგმიურ ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველყოფას. პროგრამებში გამოიყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელი შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ სადაც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანზიმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, დაწესებულება ახდენს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას. .ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვ.ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები/ვერიფიკატორები განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ასევე რისკების სისტემა, რაც დაეხმარება დაწესებულებს ვერიფიკაციის პროცესის მართვაში.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ გაწერილია აქვს შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურების მექანიზმი. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების უწყისი გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში ინახება დაწესებულებაში, ამის შემდგომ ინახება არქივში 5 წლით შემდეგ შესაძლებელია მოხდეს მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით ან დარჩეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისთვის ან გადაეცეს ავტორს. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც იწარმოება/შეივსება ელექტრონული სახით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა განმსაზღვრელი შეფასების გარდა გამოიყენებს განმავითარებელ შეფასებასაც. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის გაუმჯობესების ინიციატივები, დადგეს ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროება, ეს კი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



01.08.2024წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: